სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის რატი ჩანტლაძის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**22**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**22**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**18**	**20**
პროფესიული თვისებები	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**9**	**10**
პროფესიული აქტივობა	**5**	**5**
ქულათა ჯამი	**90**	**100**

ზურაბ გურასპაშვილი:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 06.12.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ზურაბ გურასპაშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით დაწყებულ საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის

რატი ჩანტლაძის

შეფასება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით დაიწყო საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის 38 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად კანდიდატების შერჩევის პროცედურა.

მითითებულ კონკურსში კანდიდატად დარეგისტრირდა რატი ჩანტლაძე.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოპოვებულ იქნა ინფორმაცია პროცედურაში მონაწილე კანდიდატების შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმომედგინა ამავე კანონის 34^1 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. მოწოდებულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილე კანდიდატების შეფასებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

კანდიდატი შევაფასე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 4 (ოთხი) მახასიათებლის მიხედვით და ამავე მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ შევადგინე საბოლოო დასკვნა.

კანდიდატი შევაფასე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 6 (ექვსი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ამავე ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ამ ქულის დასაბუთების გზით.

ინფორმაცია კანდიდატის შესახებ

ასაკი: **31 წელი (1993 წელი 12 მაისი)**
განათლება: **უმაღლესი იურიდიული (მაგისტრი, თსუ, 2017 წელი)**
ნასამართლობა: **არა**
სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: **8 წელი**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატ რატი ჩანტლაძის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:

ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;

პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვეცისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

კანდიდატზე მოძიებული მასალების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ თუ სხვა სახის სამოქალაქო ვალდებულებებს, კერძოდ რატი ჩანტლაძეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, არ აქვს მიმდინარე სესხი. წარმოდგენილი ინფორმაციით არ იკვეთება კანდიდატის მიერ სხვა შეუსრულებელი ვალდებულების არსებობის ფაქტი. დეკლარაციის შევსებისას კანონის მოთხოვნის დარღვევის ფაქტი გამოვლენილი არ არის.

რატი ჩანტლაძეს უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის 9 ფაქტი, მის მიმართ ასევე შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის 2 ელექტრონული საჯარიმო ქვითარი. დაკისრებული ჯარიმები გადახდილია დროულად.

კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილ რეკომენდაციებსა და კითხვარებში, მასთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები რატი ჩანტლაძეს პატიოსან, კეთილსინდისიერ და პასუხისმგებლიან პიროვნებად ახასიათებენ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი რატი ჩანტლაძე **<u>სრულად აკმაყოფილებს</u>** პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელს.

<u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა და სხვა, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას – აგრეთვე პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა.

გასაუბრების პროცესიდან ჩანს, რომ კანდიდატი დამოუკიდებელია საზოგადოებრივი და პოლიტიკური გავლენებისგან, აგრეთვე თავისუფალია ყოველგვარი მიკერძოებისგან და დისკრიმინაციისგან. კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან/და შემომწირველი.

რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი არის პრინციპული, მიუკერძოებელი, გამოირჩევა სამართლიანობით და პიროვნული სიმტკიცით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი რატი ჩანტლაძე **<u>სრულად აკმაყოფილებს</u>** დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის მახასიათებელს.

<u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი

კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, რომლებშიც იგი მონაწილეობდა, როგორც მხარე, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობა და სხვა, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას – აგრეთვე მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას.

გასაუბრების პროცესში რატი ჩანტლაძე თავდაჭერილი, ზრდილობიანი, კორექტულია. მას კარგად აქვს გაცნობიერებული მოსამართლის როლი და პასუხისმგებლობა. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი არის პუნქტუალური, პატივს სცემს განსხვავებულ აზრს, აქვს მოსმენის უნარი და იცავს პროფესიული ეთიკის წესებს.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული მასალებით დგინდება, რომ რატი ჩანტლაძის მიმართ დისციპლინური ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. კანდიდატი დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. მას საანგარიშო პერიოდში, უფიქსირდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტები, რომლებზეც დადგენილი ჯარიმები სრულად და დროულად აქვს დაფარული.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციით დგინდება, რომ კანდიდატი მსარედ მონაწილეობს ერთ მიმდინარე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი რატი ჩანტლაძე **<u>სრულად აკმაყოფილებს</u>** პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელს.

<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u>

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

არსებული ინფორმაციით კანდიდატი სარგებლობს დადებითი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით როგორც კოლეგებში ისე იურიდიულ წრეებში. ასევე რეკომენდატორებიც აღნიშნავენ, რომ რატი ჩანტლაძე თავისი პროფესიონალიზმისა და მორალური თვისებების გათვალისწინებით, სარგებლობს ძალიან კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით.

კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის ფარგლებში რაიმე სახის ნეგატიური ინფორმაცია მისი პიროვნული თუ პროფესიული რეპუტაციის შესახებ არ გამოვლენილა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი რატი ჩანტლაძე **სრულად აკმაყოფილებს** პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებელს.

დასკვნა
კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ

კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებლით შემოწმებისას შევაფასე სრულად დადებითად. ამდენად მიმაჩნია, რომ კანდიდატი რატი ჩანტლაძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატ რატი ჩანტლაძის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:

ა) სამართლის ნორმების ცოდნა;
ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
დ)პროფესიული თვისებები;
ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
ვ) პროფესიული აქტივობა.

სამართლის ნორმების ცოდნა

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის (მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის) მის მიერ ცოდნის დონე.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ კანდიდატს დაესვა არაერთი კითხვა სამართლის სხვადასხვა მიმართულებით, კანდიდატის მიერ გაცემული პასუხები უმეტესწილად იყო ამომწურავი, თუმცა გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები.

კანდიდატმა არასრულად ისაუბრა, თუ რა სტანდარტებით ხელმძღვანელობს მოსამართლე სისხლის სამართალში.

იგი კარგად იცნობს სამოქალაქო სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, აგრეთვე უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით კანდიდატი **<u>რატი ჩანტლაძე</u>** უნდა შეფასდეს **<u>22 ქულით.</u>**

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას – აგრეთვე მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა.

აღსანიშნავია, რომ საჯარო მოსმენის დროს კანდიდატის მსჯელობა იყო დამაჯერებელი. იგი აზრს ავითარებდა გამართულად, თანმიმდევრულად.

რატი ჩანტლაძე არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულები - 84/17.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 10.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - *„ადმინისტრაციულ სამართალში* - რატი ჩანტლაძეს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და მისი პრაქტიკაში კარგად გამოყენების უნარი. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. შეუძლია გასაგებად და მარტივად გადმოსცეს აზრი, ასევე აქვს ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები წერილობით ზედმიწევნით და შინაარსობრივად ჩამოყალიბების უნარი. რატი ჩანტლაძე არის ორგანიზებული, გაწონასწორებული, ბეჯითი, კომუნიკაბელური,

კოლეგიალური და თავაზიანი ადამიანი. გარემოებებს აფასებს კრიტიკულად და შეუძლია შეცდომების აღიარება. *სამოქალაქო სამართალში* – რატი ჩანტლაძეს, აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. რეკომენდირებულია მან იმუშაოს დროის მართვის და კონცენტრაციის უნარების უფრო მეტად განვითარებაზე. *სისხლის სამართალში* – კანდიდატს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა, შესაბამისად, ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალი'ზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. მისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება, პიროვნული თვისებები და უნარები სრულ შესაბამისობაშია, სამომავლოდ, სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებასთან. კანდიდატს, რომელიც სამოქალაქო სამართლის სპეციალისტია, სისხლის სამართალში აქვს სათანადო თეორიული ცოდნა, რასაც წარმატებით გამოიყენებს პრაქტიკაში. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. შეუძლია სწორი არგუმენტების მოძიება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. რეკომენდებულია მან იზრუნოს სემინარული მუშაობისას დაშვებული მცირე შეცდომების გამოსწორებაზე, სისხლის სამართალში თეორიული ცოდნის კიდევ უფრო გაღრმავებასა და წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე."

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით კანდიდატი **<u>რატი ჩანტლაძე</u>** უნდა შეფასდეს **<u>22 ქულით.</u>**

წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, წერის უნარის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი გამართულად მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

წარმოდგენილი სამართლებრივი პუბლიკაციების გაცნობის შედეგად ვასკვნი, რომ წერისას კანდიდატი აზრს თანმიმდევრულად გადმოსცემს, თუმცა რიგ შემთხვევებში გვხვდება რთული ქვეწყობილი წინადადებები, რომელიც აზრის გადმოცემას ართულებს. მათში მნიშვნელოვანი გრამატიკული ხასიათის შეცდომები არ გამოვლენილა.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, რატი ჩანტლაძის მიერ მომზადებული სასამართლოს განჩინებები/გადაწყვეტილებები ჩამოყალიბებული იყო გამართული ქართულით, როგორც გრამატიკულად, ისე სტილისტურად. სამართლებრივი მსჯელობა იყო ლოგიკური, მის მიერ მოყვანილი დასაბუთება მოიცავდა თეორიული და სამართლებრივი ცოდნის სინთეზს. კანდიდატს შეუძლია სამართლებრივი მსჯელობა გადმოსცეს გასაგები ენით. მის ნაშრომში ყოველივის იგრძნობა წერის მაღალი კულტურა, ისინი მხოლოდ უმნიშვნელო კორექტირებებს საჭიროებს. რატი ჩანტლაძე გამოირჩევა საუკეთესო ვერბალური კომუნიკაციის უნარით, რაც გამოიხატა სტაჟირების პერიოდში სხვადასხვა ადმინისტრაციულ დავებთან მიმართებით ფაქტობრივი გარემოებების გამართულად ჩამოყალიბებასა და საკუთარი აზრის მყარად და არგუმენტირებულად გადმოცემაში. შესწევს უნარი საქმის გარემოებები და მასში არსებული პრობლემები სტრუქტურირებულად ჩამოაყალიბოს ზეპირად, ზეპირად ამომწურავად გადმოსცემს აზრს და შემდეგ მოკლე შეჯამებას ასახავს წერილობით. რატი ჩანტლაძე მეტწილად ლაკონიურად და გასაგებად გადმოსცემს აზრს. ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელოვან საკითხებზე.

რეკომენდატორების მითითებით კანდიდატი როგორც ზეპირ, ისე წერილობით აზრს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად, მისი სამუშაო პროექტები სამართლებრივად დასაბუთებული, გრამატიკულად და სტილისტურად გამართულია.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით კანდიდატი **<u>რატი ჩანტლაძე</u>** უნდა შეფასდეს **<u>18 ქულით.</u>**

პროფესიული თვისებები

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, პროფესიული თვისებების მახასიათებლით სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.

კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები უთითებენ, რომ კანდიდატს შეუძლია ეფექტიანად დაგეგმოს თავისი სამუშაო განრიგი, მართოს საქმეთა ნაკადი, ზეპირი კომუნიკაციის დროს ახასიათებს დამაჯერებლობა, გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციით და შრომისმოყვარეობით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ პროფესიული თვისებების მახასიათებლით კანდიდატი **<u>რატი ჩანტლაძე</u>** უნდა შეფასდეს **<u>14 ქულით.</u>**

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

რატი ჩანტლაძეს ჩაბარებული აქვს ადვოკატთა და მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდები, ასევე, გავლილი აქვს მედიაციის სასერთიფიკატო ტრენინგ კურსი. 2017 წლიდან - დღემდე სწავლობს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაზე.

კანდიდატს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში აქვს მონაწილეობა მიღებული: 2018 წლის სექტემბერი, ქართული სანივთო სამართალი: გერმანული სამართლებრივი ფიგურები მათი რეცეფციის ჭრილში - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი; 2021 წლის ივნისი - საავტორო სამართალი ("CopyrightX") - ჰარვარდის სამართლის სკოლა, ბერკმან კლაინის ცენტრი; 2022 წლის სექტემბერი - ვორქშოპი მოსამართლის თანაშემწეთათვის: შემთხვევის გადაწყვეტის მეთოდი - საქართველოს უზენაესი სასამართლო, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობა და სხვა.

წარმოდგენილი ინფორმაციისა და კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით ჩანს, რომ კანდიდატს აქვს თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის სურვილი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატი რატი ჩანტლაძე უნდა შეფასდეს **<u>9 ქულით.</u>**

პროფესიული აქტივობა

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, პროფესიული აქტივობის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, მისი სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მისი დამსახურება და სხვა.

კანდიდატს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში აქვს მონაწილეობა მიღებული, აქვს ინიციატივის გამოჩენის უნარი, შეუძლია იდეების დაფიქსირება და წინადადებების წამოყენება, საქმიანობის უკეთ და ეფექტურად წარმართვის კუთხით.

კანდიდატი 2018 წლის გაზაფხულის სემესტრიდან - დღემდე არის მოწვეული ლექტორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (სასწავლო დისციპლინები: ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელშეკრულებო სამართალი); ასევე, იყო მოწვეული ლექტორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტზე (სასწავლო დისციპლინა - ბიზნეს სამართალი), 2023 წლის გაზაფხულის სემესტრში.

კანდიდატს გამოქვეყნებული აქვს სტატიები: „ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით)", ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", №4(60) თბილისი, 2018; „ადვოკატი წარმომადგენლის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში (ქართული და ამერიკული მოდელის შედარებითსამართლებრივი ანალიზი)", Ethical Duties of an Advocate Representing a Client in Mediation (Comparative Legal Analysis of Georgian and American Models), ჟურნალი „წელიწდეული", ქართულ და ინგლისურ ენებზე, თბილისი, 2019; „წამქეზებელი" მესამე პირი წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში - პასუხისმგებლობის საფუძვლები და ფარგლები, ქართულ და ინგლისურ ენებზე, თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი, №1, თბილისი, 2024 წელი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატი რატი ჩანტლაძე უნდა შეფასდეს 5 ქულით.

<u>დასკვნა</u>

კანდიდატის კომპეტენტურობის შესახებ

კანდიდატ <u>რატი ჩანტლაძის</u> თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებებიდან გამომდინარე მისთვის მინიჭებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა *<u>90 ქულა.</u>*

- სამართლის ნორმების ცოდნა 22 ქულა.
- სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია 22 ქულა.
- წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი 18 ქულა.
- პროფესიული თვისებები 14 ქულა.
- აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა 9 ქულა.
- პროფესიული აქტივობა 5 ქულა.

ზურაბ გურასპაშვილი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 06.12.2024